

სს „რუსთავის აზოტი“

ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. ფუნქციონირებადი საწარმო	5
3. მომზადების საფუძველი	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	7
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
6. ძირითადი საშუალებები	17
7. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	18
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19
9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	19
10. კაპიტალი.....	20
11. მიღებული ავანსები.....	20
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	20
13. საიჯარო ვალდებულება	21
14. შემოსავალი	21
15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	22
16. დისტრიბუციის ხარჯი	22
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
18. სხვა შემოსავალი	22
19. სხვა ხარჯები.....	23
20. საკუთრივ სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი.....	23
21. პირობითი ვალდებულებები	23
21. პირობითი ვალდებულებები	24
22. ფინანსური ინსტრუმენტები	24
23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „რუსთავის აზოტის“
პარტნიორსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „რუსთავის აზოტის“ (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2020 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2020 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. 2020 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

პარტნიორთა საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.



ჩვენ პარტნიორს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'მ. ხოსოვილი' (M. Khosolili).

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 28 სექტემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	70,914	61,364
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	7	114,149	68,296
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		–	2,482
არამატერიალური აქტივები		843	968
სულ გრძელვადიანი აქტივები		185,906	133,110
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	67,993	57,502
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	9	425	260
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		6,482	5,065
ავანსები		2,746	2,178
გაცემული სესხი	23	27,481	–
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	22	8,970	2,894
სულ მიმდინარე აქტივები		114,097	67,899
სულ აქტივები		300,003	201,009
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	7,815	7,815
გაუნაწილებელი მოგება		15,272	14,655
სულ კაპიტალი		23,087	22,470
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	13	76,884	34,389
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		76,884	34,389
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	13	50,812	–
მიღებული ავანსები	11	62,363	43,184
სხვა ფინანსური ვალდებულებები	22	32,799	28,706
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	17,449	42,102
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხი	1	36,609	30,158
სულ მიმდინარე ვალდებულებები		200,032	144,150
სულ ვალდებულებები		276,916	178,539
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		300,003	201,009

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს:

ეფრემ ურუმაშვილი
დირექტორიალექსანდრე ლატარია
ფინანსური დირექტორი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	70,914	61,364
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	7	114,149	68,296
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		0	2,482
არამატერიალური აქტივები		843	968
სულ გრძელვადიანი აქტივები		185,906	133,110
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	67,993	57,502
საეაქრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	9	425	260
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		6,482	5,065
ავანსები		2,746	2,178
გაცემული სესხი	23	27,481	0
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	22	8,970	2,894
სულ მიმდინარე აქტივები		114,097	67,899
სულ აქტივები		300,003	201,009
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	7,815	7,815
გაუნაწილებელი მოგება		15,272	14,655
სულ კაპიტალი		23,087	22,470
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	13	76,884	34,389
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		76,884	34,389
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	13	50,812	0
მიღებული ავანსები	11	62,363	43,184
სხვა ფინანსური ვალდებულებები	22	32,799	28,706
საეაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	17,449	42,102
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხი	1	36,609	30,158
სულ მიმდინარე ვალდებულებები		200,032	144,150
სულ ვალდებულებები		276,916	178,539
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		300,003	201,009

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 28 სექტემბერს:




ევგენი ურუშაძე
 ფინანსური დირექტორი

ალექსანდრე ლაშინი
 ფინანსური დირექტორი

5-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	14	343,730	364,945
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	15	(248,830)	(250,428)
საერთო მოგება		94,900	114,517
დისტრიბუციის ხარჯები	16	(26,409)	(26,625)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(14,586)	(15,617)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(906)	(3,389)
რეზერვის შექმნა და იურიდიულ სარჩელებთან დაკავშირებული ხარჯები	21	(4,599)	(1,344)
სხვა შემოსავალი	18	1,573	1,934
სხვა ხარჯები	19	(4,295)	(4,546)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		45,678	64,930
ფინანსური შემოსავალი		2,926	35
ფინანსური ხარჯები		(8,767)	(4,700)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	20	(16,611)	(8,782)
ცვეთა და ამორტიზაცია		(22,609)	(17,979)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		(617)	33,504
მოგების გადასახადის ხარჯი		—	—
წლის მოგება		(617)	33,504
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(617)	33,504

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული დანაკლისი)	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	32,831	(18,849)	13,982
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	33,504	33,504
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-10 შენიშვნა)	(25,016)	–	(25,016)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,815	14,655	22,470
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	617	(617)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,815	15,272	23,087

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნები	2020	2019
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საექსპორტო ბაზარზე გაყიდვებიდან მიღებული ფულადი ნაკადები		297,542	303,236
ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვებიდან მიღებული ფულადი ნაკადები		75,850	65,022
დღგ-ის ანაზღაურება		35,543	29,200
მიღებული პროცენტი		48	39
სულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		408,983	397,497
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ბუნებრივი აირი		(173,085)	(173,555)
ელექტროენერგია		(55,490)	(54,443)
სხვა ნედლეული		(34,289)	(38,961)
კომუნალური მომსახურება		(908)	(1,611)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება		(201)	(491)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(8,663)	(6,752)
გადახდილი ხელფასები		(26,786)	(25,409)
გაწეული ადმინისტრაციული ხარჯები		(5,814)	(6,047)
გაწეული საპორტო ხარჯები		(8,201)	(7,311)
გაწეული სარკინიგზო ხარჯები		(20,236)	(19,973)
გაწეული შესაფუთი მასალების ხარჯები		(5,149)	(6,146)
სხვა		(2,484)	(3,784)
სულ საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(341,306)	(344,483)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		67,677	53,014
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(15,063)	(13,321)
სესხის გაცემა	23	(47,792)	–
სულ საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		62,855	(13,321)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
გადახდები საიჯარო ვალდებულებების ძირითადი წილისთვის	13	(360)	(33,589)
საიჯარო პროცენტის გადახდები	13	–	(4,700)
სულ ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(360)	(38,289)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ბანკში არსებულ ნაღდ ფულზე		1,614	1,140
ბანკში არსებული ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		6,076	2,544
ნაღდი ფული ბანკში წლის დასაწყისში	22	2,894	350
ნაღდი ფული ბანკში წლის ბოლოს	22	8,970	2,894

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები 2020 და 2019 წლებში განხილულია მე-10 და 23-ე შენიშვნებში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „რუსთავის აზოტი“ 2016 წლის 13 სექტემბერს დაფუძნდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“).

კომპანიის ძირითადი საქმიანობა აზოტის სასუქების და ოქროს გამოტუტვის პროდუქტების წარმოებაა. კომპანიის ძირითადი პროდუქტებია სოდიუმის ციანიდი და ამონიუმის ნიტრატი, რომლებსაც ორმაგი დანიშნულება აქვს და გამოიყენება სოფლის მეურნეობასა და სამთო მრეწველობაში. კომპანიის მთავარი საექსპლუატაციო აქტივია რუსთავის აზოტის ქარხანა, რომელიც საქართველოს ქალაქ რუსთავში მდებარეობს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩა №2.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს სს „EU Investments“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომლის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის ბატონი ეფრემ ურუმაშვილი.

კომპანიის ოპერაციების დაწყება

2016 წლის 1 სექტემბერს მშობელმა კომპანიამ საჯარო აუქციონზე შეისყიდა შპს „რუსთავის აზოტის“ არსებითად ყველა მატერიალური აქტივი (სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ძირითადი საშუალებები - „რუსთავის აზოტის“ ქარხნის აქტივები). მთლიანმა ღირებულებამ (დღგ-ის ჩათვლით) 235,079 ლარი შეადგინა. აქტივების შესყიდვა დაფინანსდა ქართული ფინანსური დაწესებულებისგან აღებული სესხით.

2017 წლის 6 იანვარს რუსთავის აზოტის ქარხნის აქტივები იჯარით გადაეცა სს „რუსთავის აზოტს“ მისი მშობელი კომპანიის მიერ მოკლევადიანი საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, და ამ თარიღიდან კომპანიამ დაიწყო რუსთავის აზოტის ქარხნის ექსპლუატაცია.

კომპანიამ ასევე წარმოადგინა ფინანსური გარანტიები ქართული კომერციული ბანკის მიმართ შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი პარტნიორების გარკვეული სესხებისთვის. ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულების სამართლიანი ღირებულება 28,714 ლარად განისაზღვრა 2017 წლის 30 იანვარს, ხელშეკრულების გაფორმების თარიღში და ამის შემდეგ გადაფასა ის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასების ღირებულება 36,609 ლარად განისაზღვრა. შესაბამისი ვალდებულება აღიარდა ვალდებულებების და დარიცხვების ანარიცხებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და საბალანსო ღირებულებაში ცვლილების ეფექტი შესულია ანარიცხების ცვლილებაში და იურიდიულ სარჩელებთან დაკავშირებულ ხარჯებში, ასევე წმინდა საკურსო ზარალში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 85,935 ლარით (2019 წ.: 76,251 ლარი) აღემატებოდა.

როგორც ზემოთ, 1-ელ შენიშვნაში აღინიშნა, მშობელმა კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შპს „რუსთავის აზოტის“ აქტივებზე ამ აქტივების ყოფილი მფლობელების კომერციული ბანკის მიერ გამართული ღია აუქციონის შედეგად. ყოფილი მფლობელების მიერ ბანკის წინაშე ვალდებულებების რამდენიმეჯგუფის შეუსრულებლობის გამო, ინიცირებულ იქნა აუქციონი. შპს „რუსთავის აზოტის“ აქტივების შესყიდვის შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რათა გაუმჯობესებინა აქტივის ექსპლუატაცია, აღმოეფხვრა ნაკლოვანებები და მასთან დაკავშირებული დანახარჯები, გაუმჯობესებინა კორპორატიული მართვა და მიეღო სხვა ზომები წარსულში ქარხნის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ფინანსური სირთულეების დასაძლევად.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მიზანშეწონილობის შეფასება ეყრდნობა შემდეგ ფაქტებს, ხელმძღვანელობის გეგმებსა და ვარაუდებს:

- ▶ 2020 და 2019 წლებში, ქარხანა ფუნქციონირებად ან მუშაობდა თითქმის სრული სიმძლავრით და შეედლო მისი ნაწარმის რეალიზაცია. ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ ქარხანა განაგრძობს ფუნქციონირებას იგივე დონეზე უახლოეს მომავალში. ძირითად მერყეობებზე სავარაუდოდ იმოქმედებს ფასის ცვლილებები კომპანიის პროდუქტებსა და ნაწარმზე. კომპანიამ დაამტკიცა 2021 და 2022 წლების პროგნოზები. ამ პროგნოზების საფუძველზე, კომპანია მოელის შესაბამისი ფულადი ნაკადების გამომუშავებას მისი ოპერაციებიდან მისი საოპერაციო, ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომის მომენტისთვის. მნიშვნელოვანი შემავალი ინფორმაცია ხელმძღვანელობის პროგნოზში უკავშირდება კომპანიის პროდუქტებისა და ნაწარმის ფასების პროგრესულ შეფასებებს. ხელმძღვანელობა იყენებს გარე პროფესიონალურ წყაროებს ამ შეფასებებისთვის. ფაქტიური ფასები 2021 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში პროგნოზირებულზე ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო კომპანიისთვის.
- ▶ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს თავდებობის ანაზარს მომხმარებლისგან 32,799 ლარის (2019 წ.: 28,706 ლარი) ოდენობით. ანაზარს მომხმარებელი განათავსებს ხუთწლიანი ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდების ვალდებულების შესრულების გარანტირებისთვის (დაფარვის ვადა 2022 წლის იანვარი). ანაზარი გამოხატულია აშშ დოლარში და არ იცვლება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. ანაზარი შესაძლოა ექვსი თვის ვადაში გაუქმდეს, თუ მომხმარებელი გადასწყვეტს კომპანიასთან მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტას. თავის პროგნოზებში ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ანაზარი არ იქნება გაუქმებული არსებული მიწოდების ხელშეკრულების დაფარვის ვადის დადგომამდე და ის გახანგრძლივდება 2022 წლის იანვრის შემდეგ. კომპანიის ნაწარმის დაახლოებით 45%-ს ეს მომხმარებელი ყიდულობს და კომპანიას მასთან რვა წელზე მეტია ბიზნეს ურთიერთობები აქვს. კომპანიის საქონელი მარტივად ხელმისაწვდომი არ არის სხვადასხვა მიმწოდებლებისგან და გლობალური მოთხოვნა საქონელზე კიდევ უფრო იზრდება. შესაბამისად, ხელმძღვანელობა არ ვერ ხედავს მიწოდების ხელშეკრულების და ანაზრის გახანგრძლივებასთან დაკავშირებულ რისკებს.
- ▶ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების სასარგებლოდ საქართველოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული გარანტიის ანარიცხს 36,609 ლარის (2019 წ.: 28,919 ლარი) ოდენობით (22-ე შენიშვნა). ამ გარანტიის ფარგლებში კომერციულმა ბანკმა კომპანიას მოსთხოვა და 2018 წლის თებერვალში გადაიხადა 1,232 ლარი (0,5 მილიონი აშშ დოლარი). კომპანიამ კომერციული ბანკისგან მიიღო არასავალდებულო განზრახვის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ამ გარანტიით გათვალისწინებული დანარჩენი თანხების ამოღებას დააპირებს, იგი ამ თანხების დაფარვას ექვსწლიან პერიოდზე გადაანაწილებს. ხელმძღვანელობამ ამ თავდებობის საფუძველზე განხორციელებული გადახდები პროგნოზებში არ გაითვალისწინა, რადგან ის მოელის, რომ ბანკი თავდებობას არ გამოიყენებს. თუმცა, თავდებობის გამოყენების შემთხვევაში, კომპანიის თავისუფალი ფულადი ნაკადები საკმარისი იქნება ექვსთვიანი დაფარვის გრაფიკის შესასრულებლად.
- ▶ 2020 წელს კომპანიამ საოპერაციო საქმიანობებიდან მიიღო წმინდა ფულადი სახსრები 67,677 ლარის (2019 წ.: საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრები: 53,014 ლარი) ოდენობით. საოპერაციო ფულადი ნაკადები პოზიტიურია და წლიდან წლამდე იზრდება. ხელმძღვანელობის მოლოდინით, წმინდა საოპერაციო ფულად ნაკადებთან დაკავშირებული დადებითი ტენდენცია 2021 წელსაც გაგრძელდება.

ხელმძღვანელობის აზრით ზემოაღნიშნული ინიციატივების ერთობლიობა კომპანიას უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდურობით, რომ საქმიანობა გააგრძელოს ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ყველა ეს განცხადება ეყრდნობა არსებულ მოლოდინებსა და პროგნოზებს. ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება ბევრი რისკი და გაურკვევლობა, რის გამოც შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან. დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. მომზადების საფუძველი

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიის საქმიანობის შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, გაგლეხა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 9 და ბასს (IAS) 39-ის ცვლილება „საპროცენტო განაკვეთის საბაზისო რეფორმა“;
- ▶ ბასს (IAS) 1 და ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „ტერმინის „არსებითის“ განმარტება“;
- ▶ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები;
- ▶ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო დათმობა“.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს (IFRS) 15-ის შესაბამისად.

შემდგომი შეფასების მიზნით, კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, გაცემულ სესხს და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს. კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან იკისრა მიღებული ფულადი ნაკადების არსებითი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის სრულად გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე 'ტრანზიტული' ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითი ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომელთა ფლობა არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემობრუნება.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. ამ დანახარჯებში ასევე შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

უმნიშვნელო შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთა გამოითვლება აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებზე დარიცხვის წრფივი მეთოდით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	7-17 წელი
ტრანსპორტი	10 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5-7 წელი
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	5 წლამდე

საიჯარო გაუმჯობესებებზე ცვეთა დაირიცხა მათ სასარგებლო გამოყენების ვადასა და დარჩენილ საიჯარო ვადას შორის უფრო მოკლე ვადაზე.

ამასთან, კომპანიის საწარმოო ერთეულებს სჭირდებათ კატალიზატორები, რომლებიც ეხმარება მათ ქიმიური ნერთების სინთეზში, უკეთესი წმენდის მიზნით. კატალიზატორის მოწყობილობები მდიდრდება ქარხნის გეგმიური ყოველწლიური სარემონტო სამუშაოების პარალელურად. კომპანია კატალიზატორის დანახარჯებს აღრიცხავს ძირითად საშუალებებად და ამოწურვის ხარჯს წინასწარ აფასებს ფაქტობრივი ამოწურვის ისტორიულ და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმავე წელში, რომელშიც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადაცემულ აღიარებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, მის მოსალოდნელ სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები ძირითადად მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს. საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, იმ შემთხვევაში, თუ იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დამებეჭდებში გარკვეული ცვლილებები მომხდარი. ამობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ამგვარი შემობრუნება აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ვალდებულებების რეზერვი და რეზერვის დარიცხვა

ვალდებულებების რეზერვები და სარეზერვო დანარიცხვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე ვალდებულებებს. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება სესხის დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მფლობელობაში არსებული არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა სასრულია და ისინი აღრიცხულია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალურ აქტივებში შედის შეძენილი სავაჭრო ნიშნები და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები. მათი ამორტიზაცია ხორციელდება ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდით მათ მოსალოდნელ სასარგებლო გამოყენების ვადაზე (1-10 წელი), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულებების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების თვითღირებულება გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების გამოყენებით. სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი. წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და დაუმთავრებელი წარმოების შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის პირობებში ზედნაღებს ხარჯის შესაბამის ნაწილს.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში შედის ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, რომელიც მოიცავს მოთხოვნამდე საბანკო ანაბრებს, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ვალდებულება წარმოიშობება საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით. დღგ შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წინასწარ გადახდილი გადასახადების მუხლში, მოგების გადასახადის გარდა.

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება წმინდა საკურსო ზარალის ან შემოსულობის მუხლის მოგებაში ან ზარალში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად იყო 3,2766 და 2,8766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობის და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაეცემა მყიდველს, მოსალოდნელია ანაზღაურების თანხის ამოღება, დაკავშირებული დანახარჯები და საქონლის შესაძლო დაბრუნების შეფასება სარწმუნოდ შეიძლება და საქონლის მართვაში მონაწილეობა არ არის შენარჩუნებული.

რისკებისა და სარგებლის გადაცემა სხვადასხვაგვარად ხდება და დამოკიდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების ინდივიდუალურ პირობებზე. გადაცემა შეიძლება მოხდეს პროდუქტის კომპანიის საწყობებიდან გატანისას (ძირითადად, ქვეყნის ფარგლებში ტრანსპორტირებისთვის), საქონლის შესაბამის გადაშვიდვებზე დატვირთვისას, ან კლიენტის მიერ მითითებულ დანიშნულების ადგილამდე მიტანისას. დისტრიბუციის ხარჯების აღიარება მათი გაწევისთანავე ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ნასყიდობის ხელშეკრულებების უმრავლესობაში წინასწარ გადახდის პირობაა ჩადებული.

პრინციპალის და აგენტის საზღაური

კომპანია არის პრინციპალი (და შესაბამისად შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს), თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს ან მომსახურებებს, სანამ მათ კლიენტს გადასცემს. კომპანია არის აგენტი (და, შესაბამისად, ის შემოსავლად აღრიცხავს წმინდა თანხას, რომელსაც ის ინარჩუნებს სააგენტო მომსახურებებისთვის), თუ მისი როლია სხვა საწარმოს მიერ საქონლის და მომსახურებების მიწოდების ორგანიზება. კომპანიამ დაასკვნა, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ზემოთ აღწერილ საქონელთან და მომსახურებებთან მიმართებაში, რადგან ის აკონტროლებს კონკრეტულ საქონელს და მომსახურებებს მათი კლიენტისთვის გადაცემამდე. შესაბამისად, კომპანია შემოსავალს ბრუტო საფუძველზე აღრიცხავს.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, აქტივი ან მსგავსი აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა მოცემულია ქვემოთ:

- ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ბასს (IAS) 16-ში: „საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა“

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირება შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

სასამართლო დავები

კომპანია მეტწილად თავისი სუბიექტური განსჯის საფუძველზე აფასებს და აღიარებს ანარიცხებს და მიმდინარე სასამართლო დავებთან დაკავშირებით პირობითი ვალდებულებების ან მორიგების საფუძველზე სხვა ასანაზღაურებელი მოთხოვნების, შუამავლობისა თუ არბიტრაჟის რისკების მოცულობას, და სხვა პირობითი ვალდებულებებს. განსჯის გამოყენება აუცილებელია მოთხოვნის დაკმაყოფილების ან ვალდებულებების წარმოშობის ალბათობის შეფასებისთვის, ასევე საბოლოო გადასახდელი თანხის მიახლოებით განსაზღვრისთვის. შეფასების ამ პროცესისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის გამო, ფაქტობრივი ზარალი შეიძლება განსხვავდებოდეს წინასწარ შეფასებული რეზერვის მოცულობისგან. ეს წინასწარი შეფასებები ექვემდებარება ცვლილებას, როდესაც ახალი ინფორმაცია ხდება ცნობილი. შეფასებების გადასინჯვამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სამომავლო საოპერაციო შედეგებზე (21-ე შენიშვნა).

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნედლეულის და მასალების, დაუმთავრებელი წარმოების და მზა პროდუქციის წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შეფასება ყველაზე ობიექტურ მტკიცებულებას ეფუძნება, რომელიც შეფასების მომენტშია ხელმისაწვდომი. ეს შეფასებები ითვალისწინებს ფასის და თვითღირებულების მერყეობას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ანგარიშგების თარიღის შემდეგ წარმოშობილ მოვლენებს იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი მოვლენები დაადასტურებენ პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს (მე-8 შენიშვნა).

თავდებობის ანარიცხის შეფასება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს 36,609 ლარის (2019 წ.: 28,919 ლარი) ანარიცხებს შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების სასარგებლოდ გაცემული გარანტიისთვის (21-ე შენიშვნა). კომპანიამ კომერციული ბანკისგან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ამ გარანტიით გათვალისწინებული დანარჩენი თანხების ამოღებას დააპირებს, იგი ამ თანხების დაფარვას 6-წლიან პერიოდზე გადაანაწილებს. ვინაიდან წერილი არ არის იურიდიული ძალის მქონე, კომპანია აგრძელებს გარანტიის აღრიცხვას მიმდინარე ვალდებულებად; თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფაქტობრივი გადახდები გადავადდება ექვსწლიანი პერიოდის განმავლობაში, რაც ასახული იყო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თავდებობის ანარიცხის შეფასებაში (მე-2 შენიშვნა).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

იჯარა

კომპანიას არ შეუძლია იჯარაში შემავალი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, შესაბამისად, საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად ის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იყენებს. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევდა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის ღირებულების მსგავსი ფასის მქონე აქტივის მისაღებად საჭირო თანხების მსგავსი ვადის და მსგავსი უზრუნველყოფის მქონე სესხის დასაფარად მსგავს ეკონომიკურ გარემოში. შესაბამისად, ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი ასახავს იმას, თუ „რისი გადახდა მოუწევდა“ კომპანიას, რაც საჭიროებს შეფასებას ემპირიული განაკვეთების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ან თუ საჭიროა მათი ცვლილება იჯარის პირობების ასახვის მიზნით.

კომპანიამ ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი 9%-ით შეაფასა ემპირიული შემავალი ინფორმაციის (როგორც არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი) გამოყენებით, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია და საჭიროა საწარმოს დამახასიათებელი კონკრეტული შეფასებების გაკეთება, რაც მნიშვნელოვან მსჯელობას წარმოადგენს.

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულება არ მოიცავს საიჯარო გადახდების ანგარიშებს ინდივიდუალური ძირითადი საშუალებების ან ქონების კატეგორიებისთვის. მნიშვნელოვანი მსჯელობა საჭიროა განცალკევებული სარეალიზაციო ფასების განსაზღვრისა და საიჯარო გადახდების განაწილებისთვის, რაც შედეგად იწვევს საბაზისო ქონების გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების კატეგორიებად დაყოფას (მე-7 შენიშვნა).

გაცემულ სესხთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაცემულ სესხზე ინდივიდუალურად ფასდება, გაცემული სესხის თანხის გაქვითვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, საიჯარო ვალდებულებებით მშობელი კომპანიის მიმართ, რადგან საიჯარო გადასახდელების დაფარვის ვადა დამდგარია და შეფასების თარიღში ხელმძღვანელობისთვის ხელმისაწვდომი სხვა შესაბამისი ინფორმაციის განსაზღვრად, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაციის ჩათვლით, რომელზე წვდომაც ზედმეტი ხარჯის ან ძალისხმევის გარეშე ხდება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ გაცემულ სესხთან მიმართებაში წარმოშობილ საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა. 27,481 ლარის ოდენობით გაცემული სესხი ვადაგადაცილებული არ არის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არაარსებითად განისაზღვრა (23-ე შენიშვნა).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2020 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ტრანსპორტი	ავიჯი და მოწყობილო- ბები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრს	1,514	16,082	288	140	27,618	21,861	67,503
შესყიდვები	–	88	11	–	17,332	951	18,382
გასვლები	–	–	–	–	(1,004)	–	(1,004)
გადატანები	–	1,009	312	10	–	(1,331)	–
2020 წლის 31 დეკემბერი	1,514	17,179	611	150	43,946	21,481	84,881
დაგროვილი ცვეთა და ამოწურვა 2019 წლის 31 დეკემბერი	–	295	35	31	5,778	–	6,139
ცვეთის და ამოწურვის დანარიცხი	104	1,014	51	27	7,636	–	8,832
გასვლები	–	–	–	–	(1,004)	–	(1,004)
2020 წლის 31 დეკემბერი	104	1,309	86	58	12,410	–	13,967
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი	1,514	15,787	253	109	21,840	21,861	61,364
2020 წლის 31 დეკემბერი	1,410	15,870	525	92	31,536	21,481	70,914

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2019 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ტრანსპორტი	ავიჯი და მოწყობილო- ბები	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრს	–	2,452	181	58	17,540	21,701	41,932
შესყიდვები	–	–	–	–	5,996	19,575	25,571
გადატანები	1,514	13,630	107	82	4,082	(19,415)	–
2019 წლის 31 დეკემბერი	1,514	16,082	288	140	27,618	21,861	67,503
დაგროვილი ცვეთა და ამოწურვა 2018 წლის 31 დეკემბერი	–	109	8	13	2,654	–	2,784
ცვეთის და ამოწურვის დანარიცხი	–	186	27	18	3,124	–	3,355
2019 წლის 31 დეკემბერი	–	295	35	31	5,778	–	6,139
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	–	2,343	173	45	14,886	21,701	39,148
2019 წლის 31 დეკემბერი	1,514	15,787	253	109	21,840	21,861	61,364

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების შესყიდვა, დღგ-ის ჩათვლით.

დაუმთავრებელ მშენებლობაში გათვალისწინებულია კარბამიდის გრანულაციის ქარხანა 20,927 ლარის ღირებულებით. კომპანია აპირებს კარბამიდის წარმოების დაწყებას მომავალში.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები მთლიანად იყო დაგირავებული ქართული ფინანსური დაწესებულებებიდან მშობელი კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების შესყიდვა, დღგ-ის ჩათვლით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები

ფასს (IFRS) 16-ის ფარგლებში კომპანიას მშობელ კომპანიასთან გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება მშობელი კომპანიის მთლიან ძირითად საშუალებებზე სამწლიანი საიჯარო ვადით და სამწლიანი განახლების პერიოდით.

2020 წლის განმავლობაში გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების მოძრაობა იყო შემდეგი:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	საწარმოო იარაღები და ინფრასტ- რუქტურა	მანქანა- დანადგარ- ები და ალჭურვი- ლობა	ტრანს- პორტი	ავეჯი და მოწყობი- ლობები	კატალი- ზატორები	დაუმთავ- რებელი მშენებ- ლობა	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,079	10,073	4,632	47,058	3,358	382	4,005	4,525	86,112
შესყიდვები	10,474	8,185	3,090	37,823	2,526	228	2,054	3,923	68,303
2020 წლის 31 დეკემბერი	22,553	18,258	7,722	84,881	5,884	610	6,059	8,448	154,415
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,638	2,200	1,011	10,276	733	83	875	–	17,816
ცვეთის ხარჯი	3,653	2,854	1,077	13,190	881	79	716	–	22,450
2020 წლის 31 დეკემბერი	6,291	5,054	2,088	23,466	1,614	162	1,591	–	40,266
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,441	7,873	3,621	36,782	2,625	299	3,130	4,525	68,296
2020 წლის 31 დეკემბერი	16,262	13,204	5,634	61,415	4,270	448	4,468	8,448	114,149

2019 წლის განმავლობაში გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების მოძრაობა იყო შემდეგი:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	საწარმოო იარაღები და ინფრასტ- რუქტურა	მანქანა- დანადგარ- ები და ალჭურვი- ლობა	ტრანს- პორტი	ავეჯი და მოწყობი- ლობები	კატალი- ზატორები	დაუმთავ- რებელი მშენებ- ლობა	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–	–
ფასს (IFRS) 16-ის მიღების ეფექტი	12,079	10,073	4,632	47,058	3,358	382	4,005	4,525	86,112
2019 წლის 1 იანვარი	12,079	10,073	4,632	47,058	3,358	382	4,005	4,525	86,112
ცვეთის ხარჯი	2,638	2,200	1,011	10,276	733	83	875	–	17,816
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,441	7,873	3,621	36,782	2,625	299	3,130	4,525	68,296

2020 წლის 20 ოქტომბერს არსებული საიჯარო ხელშეკრულება მშობელ კომპანიასთან გახანგრძლივდა სამი წლით. ყოველთვიური საიჯარო ქირა 2,621 ლარიდან (800 ათასი აშშ დოლარი) 5,243 ლარამდე (1,600 ათასი აშშ დოლარი) გაიზარდა, რამაც გამოიწვია გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების შემოსვლა 68,303 ლარის ოდენობით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	41,083	31,808
ნედლეული	7,411	7,310
სათადარიგო ნაწილები	5,920	5,359
კონტეინერები და შესაფუთი მასალები	3,082	2,733
დაუმთავრებელი წარმოება	1,273	1,881
სხვა მარაგები	9,224	8,411
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	67,993	57,502

2020 წელს კომპანიამ ხარჯში აღიარა 248,830 ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგები (2019 წელს: 250,428 ლარი).

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასაქონლო-მატერიალური მარაგები მთლიანად იყო დაგირავებული ქართული ფინანსური დაწესებულებებიდან მშობელი კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

9. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნაკისრი ვალდებულებების შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებები	(40,230)	(40,230)
სავაჭრო დებიტორული დავალიანება მომხმარებლების მიმართ	425	260
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, მთლიანი	40,655	40,490
ნაკისრი ვალდებულებების შედეგად წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით	(40,230)	(40,230)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	425	260

კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს და გამოხატულია აშშ დოლარში.

ნაკისრი ვალდებულებების შედეგად წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებაში შესულია შპს „რუსთავი აზოტის“ ყოფილი მფლობელების კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც კომპანიამ იკისრა. მიუხედავად იმისა, რომ არ არის შპს „რუსთავი აზოტის“ სამართალმემკვიდრე და არც სამართლებრივი კავშირი აქვს მასთან ან მის ყოფილ მფლობელებთან, კომპანიის საბოლოო მფლობელებმა და ხელმძღვანელებმა თანხმობა განაცხადეს შპს „რუსთავი აზოტის“ და მისი ყოფილი მფლობელების გარკვეული ვალდებულებების აღებაზე. ეს ვალდებულებები უკავშირდება შპს „რუსთავი აზოტის“ კრედიტორულ დავალიანებებს თავისი მომწოდებლების მიმართ (ძირითადად, გაზის, ელექტროენერგიის და სხვა კომუნალური მომსახურების მომწოდებლების მიმართ). 2019 წლისა და 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ სრულად დაფარა ნაკისრი ვალდებულებები.

ამ ვალდებულებებთან დაკავშირებული დაშვებები წარმოქმნის სარჩელებს შპს „რუსთავი აზოტის“ ყოფილი მფლობელის მიმართ და იწვევს შესაბამისი დებიტორული დავალიანებების აღიარებას. კომპანია მიიჩნევს, 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებობს დებიტორული დავალიანებების აღდგენის გონივრული მოლოდინი. ეს დებიტორული დავალიანებები არ უკავშირდებათ ხელშეკრულებებს ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. კაპიტალი**სააქციო კაპიტალი**

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 11,866 გამოშვებული აქციისგან, რომელთაგან ყველა სრულად არის განაღდებული. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.001 ლარია.

2019 წელს კომპანიამ მშობელი კომპანიისგან შეისყიდა საკუთარი განთავსებული 38,134 აქცია 25,016 ლარად და გააუქმა ისინი ოპერაციის დასრულებისთანავე. შესაბამისად, სააქციო კაპიტალი 25,016 ლარით შემცირდა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფორმით გადახდები ჯერ არ განხორციელებულა და ვალდებულება მშობელი კომპანიის მიმართ შესულია სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (მე-12 შენიშვნა). 2020 წელს ვალდებულება გაიქვითა მშობელ კომპანიაზე გაცემული სესხით (23-ე შენიშვნა).

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ საკუთარ კაპიტალს. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

11. მიღებული ავანსები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
უცხოელი მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	61,326	42,037
ადგილობრივი მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	1,037	1,147
სულ მიღებული ავანსები	62,363	43,184

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქონლის მისაწოდებლად მიღებული ავანსების მთლიანი ღირებულება სახელშეკრულებო ვალდებულებებს წარმოადგენს.

2020 წელს კომპანიამ აღიარა შემოსავალი 43,184 ლარის (2019 წ.: 44,760 ლარი) ოდენობით, რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ცვლილება მიღებულ ავანსებში მეტწილად გამოწვეული იყო საქონლის უზრუნველყოფით 2020 წელს, 2019 წელს მიღებული ავანსებისთვის და 2020 წელს მიღებული ახალი ავანსებისთვის. მოსალოდნელია, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ავანსი 2021 წელს შემოსავლად აღიარდება.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	13,437	13,568
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	3,358	3,518
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	654	–
კრედიტორული დავალიანებები მშობელი კომპანიის მიმართ საკუთარი აქციების გამოსყიდვისთვის (მე-10 შენიშვნა)	–	25,016
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	17,449	42,102

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება პროცენტისგან არ არის და, ჩვეულებრივ, 30 დღიან ვადაში იფარება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

13. საიჯარო ვალდებულება

	2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
	<i>მიმდინარე</i>	<i>გრძელვადიანი</i>	<i>მიმდინარე</i>	<i>გრძელვადიანი</i>
	<i>ვალდებულებები</i>	<i>ვალდებულებები</i>	<i>ვალდებულებები</i>	<i>ვალდებულებები</i>
საიჯარო ვალდებულებები	50,812	76,884	–	34,389
სულ	50,812	76,884	–	34,389

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები 2020 წლისა და 2019 წლის განმავლობაში:

2019 წლის 1 იანვარს	63,518
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	4,700
გადახდები საიჯარო ვალდებულების ძირითადი წილისთვის	(33,589)
საიჯარო პროცენტის გადახდები	(4,700)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	4,460
2019 წლის 31 დეკემბერს	34,389
შემოსვლები (მე-7 შენიშვნა)	68,303
ცვლილება	38,150
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	7,199
საიჯარო ვალდებულების გაქვითვა გაცემული სესხით (23-ე შენიშვნა)	(30,778)
გადახდები საიჯარო ვალდებულებების ძირითადი წილისთვის	(360)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	10,793
2020 წლის 31 დეკემბერს	127,696

2020 წლის 20 იანვარს კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ავანსად გადახდილი იჯარის თანხა 38,150 ლარის ოდენობით, რომელიც კომპანიამ გადაუხადა მშობელ კომპანიას საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, 2018 წლის 1 იანვრიდან უნდა ჩაითვალოს კომპანიის მიერ მშობელი კომპანიისთვის გაცემულ სესხად. საიჯარო გადასახდელები 30,778 ლარის ოდენობით, რომლის დაფარვის ვადა 2020 წელს იყო, გაიქვითა გაქვითული სესხით (23-ე შენიშვნა).

14. შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი ამონიუმის ნიტრატის გაყიდვიდან	259,040	290,656
შემოსავალი სოდიუმის ციანიდის გაყიდვიდან	79,794	67,324
შემოსავალი ამონიუმის სულფატის გაყიდვიდან	1,927	3,278
შემოსავალი აზოტის მჟავის გაყიდვიდან	1,541	1,792
შემოსავალი სხვა გაყიდვებიდან	1,428	1,895
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	343,730	364,945

2020 წელს საექსპორტო და ადგილობრივი გაყიდვებიდან წარმოქმნილმა შემოსავალმა 280,159 და 63,571 ლარი შეადგინა, შესაბამისად (2019 წ.: 311,308 და 53,637 ლარი, შესაბამისად).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
ბუნებრივი აირი	138,279	145,284
ელექტროენერგია	42,252	43,464
კაუსტიკური სოდა	19,707	18,477
ხელფასები და შესაბამისი ხარჯები	17,215	15,814
შესაფუთი მასალები	9,578	10,708
ამოწურვა	4,850	2,567
ცვეთა	5,337	869
სხვა	11,612	13,245
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	248,830	250,428

16. დისტრიბუციის ხარჯი

	2020	2019
სარკინიგზო ხარჯები	16,901	16,473
საპორტო ხარჯები	7,135	7,257
სხვა	2,373	2,895
სულ დისტრიბუციის ხარჯები	26,409	26,625

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	10,787	11,265
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა	948	971
სხვა მომსახურების ხარჯები	890	1,044
ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების ხარჯები	869	848
სხვა	1,092	1,489
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14,586	15,617

სხვა მომსახურების ხარჯებში შედის კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის 33 ლარის ოდენობით (დღგ-ს გამოკლებით) (2019 წ.: 29 ლარი, დღგ-ის გამოკლებით).

18. სხვა შემოსავალი

	2020	2019
მასალების გაყიდვა	847	1,167
სხვა მომსახურების გაყიდვა	448	232
სხვა შემოსავალი	278	535
სხვა შემოსავლები, სულ	1,573	1,934

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. სხვა ხარჯები

	2020	2019
აორთქლებული ჟანგბადის ხარჯი	1,156	783
ხელფასები და ქარხანაზე გაწეული დანახარჯები	1,073	1,101
გაყიდული არასაწარმოო მასალების თვითღირებულება	997	1,851
სხვა საქველმოქმედო ხარჯები	666	415
სხვა	403	396
სხვა ხარჯები, სულ	4,295	4,546

20. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი

საკურსო ზარალის მთლიანი ოდენობა, რომელიც აღიარებულია 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში 16,611 ლარს (2019 წ.: 8,872 ლარი) შეადგენს, რომელიც მოიცავს 10,793 ლარს (2019 წ.: 4,460) ოდენობით საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებულ წმინდა საკურსო ზარალს, თავდებობის ვალდებულებებთან დაკავშირებულ წმინდა საკურსო ზარალს 3,091 ლარის ოდენობით (2019 წ.: 1,926 ლარი) და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ წმინდა საკურსო ზარალს 2,727 ლარის (2019 წ.: 2,396 ლარი) ოდენობით.

21. პირობითი ვალდებულებები**გაცემული თავდებობები**

კომპანიამ გააფორმა საგარანტიო ხელშეკრულება შპს „რუსთავის აზოტის“ ყოფილი მფლობელების კონტროლის ქვეშ არსებული ერთეულების გარკვეული სესხების უზრუნველსაყოფად (1-ლი შენიშვნა). გარანტია გაცემულია კომერციული ბანკის სესხზე მთლიანი ღირებულებით 64,608 ლარი (19,718 ათასი აშშ დოლარი). 2017 წლის ნოემბრის თვეში, კომერციულმა ბანკმა წამოიწყო სასამართლო საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში, შპს „რუსთავი აზოტის“ ყოფილი მფლობელების კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების და კომპანიის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვდა სესხის დაფარვას, დარიცხულ პროცენტთან და ჯარიმებთან ერთად, ასევე უზრუნველყოფის საგნების იპოთეკის და გირაოს აღსრულებას. 2018 წლის თებერვალში, კომერციულმა ბანკმა კომპანიას დაურიცხა 1.232 ლარი (0,5 მილიონი აშშ დოლარი). შესაბამისი თანხა კომპანიამ გადაიხადა 2018 წლის 6 თებერვალს (მე-2 შენიშვნა).

ვალდებულებების და დარიცხვების ანარიცხებში ცვლილება შემდეგია:

	ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი
2018 წლის 31 დეკემბერი	26,993
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	1,926
2019 წლის 31 დეკემბერი	28,919
საბალანსო ღირებულების ცვლილებით გამოწვეული ცვლილება	4,599
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	3,091
2020 წლის 31 დეკემბერი	36,609

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო დეკლარაციები ღია რჩება შემოწმებისთვის სამ წლამდე ვადის განმავლობაში. თუ შემოწმებით დაფიქსირდება საგადასახადო ვალდებულების მცირე რაოდენობით წარმოჩენა, გადასახდელი ჯარიმები და საურავები შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს საგადასახადო ვალდებულებების არაზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელოდა, რომ შემოწმების შედეგებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი ოპერაციების შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას გადახდილი და დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. პირობითი ვალდებულებები

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ აქვს.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფული ბანკში 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ქართულ ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებს და სამ თვემდე თავდაპირველი ვადის მქონე მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული.

გაცემული სესხი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ მიმდინარე სესხში შესულია ლარში გამოხატული სესხი მშობელ კომპანიაზე, რომელიც ადრე აღიარდა, როგორც მშობელი კომპანიისთვის გადახდილი ავანსი საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე და გადაკლასიფიცირდა 2020 წლის 20 იანვარს გადაცემულ სესხად (მე-13 შენიშვნა), წლიური 5%-იანი განაკვეთით. სესხს არ აქვს გრაფიკით განსაზღვრული დაფარვის თარიღი და ის სრულად აღიარებულია მიმდინარე აქტივის სახით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსურ ვალდებულებებში შედის 32,799 ლარის (10,100 ათასი აშშ დოლარი) (2019 წ.: 28,706 ლარი) სამომავლო გაყიდვებში მიღებული ავანსის ფიქსირებული თანხა, რომელიც უნდა დაიფაროს ნაღდი ფულით კლიენტისგან შეტყობინების მიღებიდან ექვს თვეში. მოსალოდნელია, რომ საგარანტიო ავანსი დაუფარავი დარჩება ჯგუფის უმსხვილეს მომხმარებელთან ურთიერთობის განმავლობაში.

სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხდება შეფასების მეთოდით, რომლის დროსაც გამოიყენება აქტიურ ბაზრის ფასები და მონაცემები.

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, იყო შემდეგი:

		2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-9 შენიშვნა)	დონე 3	425	425	260	260
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	დონე 1	8,970	8,970	2,894	2,894
გაცემული სესხები (23-ე შენიშვნა)	დონე 3	27,481	27,481	–	–
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-12 შენიშვნა)	დონე 3	17,449	17,449	42,102	42,102
სხვა ფინანსური ვალდებულებები (მე-2 შენიშვნა)	დონე 3	32,799	32,799	28,706	28,706

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, გაცემული სესხების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, მეტწილად ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გასწევს სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებს. კომპანიის ხელშეწყობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი (გაგრძელება)****ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუქირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>სულ</i>
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17,449	–	17,449
საიჯარო ვალდებულებები	53,314	97,744	151,058
სხვა ფინანსური ვალდებულებები	32,799	–	32,799
სულ მომავალი გადახდები	103,562	97,744	201,306
	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>სულ</i>
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	42,102	–	42,102
საიჯარო ვალდებულებები	–	50,013	50,013
სხვა ფინანსური ვალდებულებები	28,706	–	28,706
სულ მომავალი გადახდები	70,808	50,013	120,821

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულება მაქსიმუმ 66,177 ლარის ოდენობით (2019 წ.: 53,844 ლარი) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე უკავშირდება ერთ წელზე ნაკლებ პერიოდს სრული ოდენობით. კომპანია არ მოელის, რომ გაცემულ თავდებობასთან დაკავშირებით ადგილი ექნება ფულადი სახსრების გადინებას (21-ე შენიშვნა).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო რისკი უკავშირდება აშშ დოლარში გამოხატულ საიჯარო ვალდებულებას, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

<i>ვალუტა</i>	<i>ზრდა/ კლება, % 2020</i>	<i>გავლენა მოგებაზე 2020</i>
აშშ დოლარის გამყარება	15.00%	(10,801)
აშშ დოლარის გაუფასურება	-7.00%	5,040
<i>ვალუტა</i>	<i>ზრდა/ კლება, % 2019</i>	<i>გავლენა მოგებაზე 2019</i>
აშშ დოლარის გამყარება	10.00%	(7,021)
აშშ დოლარის გაუფასურება	-5.00%	3,511

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

22. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ განიცადოს ზარალი, თუ მისი მომხმარებლები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში: 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული მთლიანი ფულადი სახსრებიდან 8,970 ლარის და 2,894 ლარის ოდენობით განთავსებული იყო Standard & Poor'-ის „BB-/bb-“ რეიტინგის, Moody's-ს „B1/NP“ (FC) & „Ba3/NP“ (LC) და Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული „BB-/bb-“ რეიტინგების მქონე ბანკებში;
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (იხილეთ მე-9 შენიშვნა);
- ▶ მშობელ კომპანიაზე გაცემული სესხი, რომელსაც არ აქვს გარე ან შიდა საკრედიტო რეიტინგი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხი ვადაგადაცილებული არ არის.
- ▶ 64,608 ლარის (19,718 ათასი აშშ დოლარი) მაქსიმალური მოცულობით გაცემული ფინანსური გარანტიები (21-ე შენიშვნა).

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	<i>2020 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2019 წლის 31 დეკემბერი</i>
	<i>მშობელი კომპანია</i>	<i>მშობელი კომპანია</i>
აქტივები და ვალდებულებები		
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები (მე-7 შენიშვნა)	114,149	68,296
1 იანვრის მდგომარეობით დასაფარი სესხები	–	–
გაცემულ სესხად რეკლასიფიცირებული ავანსი (მე-13 შენიშვნა)	38,150	–
გაცემული სესხის გაქვითვა მშობელი კომპანიის მოთხოვნით საკუთარი აქტივების გამოსყიდვისთვის (მე-10 შენიშვნა)	(25,016)	–
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	47,792	–
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო დებიტორული დავალიანება	2,874	–
გაცემული სესხის გაქვითვა საიჯარო ვალდებულებით (მე-13 შენიშვნა)	(30,778)	–
გაცემული სესხის გაქვითვა საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული დღგ-ით	(5,541)	–
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხი	27,481	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	25,016
საიჯარო ვალდებულება (მე-13 შენიშვნა)	127,696	34,389
	2020	2019
	<i>მშობელი კომპანია</i>	<i>მშობელი კომპანია</i>
შემოსავალი და ხარჯები		
ფინანსური შემოსავალი	2,874	–
ფინანსური ხარჯები	(7,199)	(4,700)

მშობელ კომპანიასთან საიჯარო გარიგებების შესახებ ინფორმაცია მე-7 და მე-13 შენიშვნებშია მოცემული.

კომპანიამ მისი ყველა ძირითადი საშუალება და სასაქონლო-მატერიალური მარაგი დააგირავა უზრუნველყოფის სახით, მშობელი კომპანიის მიერ მიღებული სესხის ფარგლებში (მე-6 და მე-8 შენიშვნები).

დირექტორების ანაზღაურება

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში შედიან კომპანიის დირექტორები. სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი პირებისთვის (კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ექვსი წევრი) გადახდილი შრომის ანაზღაურება შედგება ხელფასისა და წამახალისებელი პრემიისგან.

სს „რუსთავის აზოტი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის



შინაარსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	2
2. საოპერაციო გარემო	2
3. საქმიანობის მიმოხილვა.....	2
4. ხარისხის მართვა	3
5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები.....	3
6. არაფინანსური მაჩვენებლები	3
7. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	3
8. სოციალური პასუხისმგებლობა	4
9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა	4
10. გარემოსდაცვითი საკითხები	4
11. საკადრო პოლიტიკა	5
12. განვითარების გეგმები	5
13. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია.....	6

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „რუსთავი აზოტის“ აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 28 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 25 ოქტომბერი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „რუსთავის აზოტი“ („კომპანია“) 2016 წლის 13 სექტემბერს დარეგისტრირდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404519794. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მინერალური სასუქებისა და ინდუსტრიული ქიმიკატების წარმოება. კომპანიის ძირითადი პროდუქტებია ნატრიუმის ციანიდი და ამონიუმის გვარჯილა. კომპანიის ძირითადი აქტივია რუსთავში მდებარე რუსთავის აზოტის ქარხანა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია მშვიდობის ქუჩა 2, რუსთავი, საქართველო.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100% ფლობს სს „ეუ ინვესტმენტს“ („მშობელი კომპანია“), რომლის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელია საქართველოს მოქალაქე ევრემ ურუმაშვილი.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიას უჭირავს მყარი პოზიციები შიდა და მსოფლიო ბაზარზე. მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, კომპანიამ ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე მყარად დაიმკვიდრა ადგილი, როგორც საიმედო პარტნიორმა. ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზებით კომპანია მუდმივად აფართოებს საქმიანობის გეოგრაფიას.

სს „რუსთავის აზოტის“ უპირატესობა ბაზარზე ხასიათდება, რამდენიმე ფაქტორით:

- გამორჩეული გამოცდილების მქონე, ძლიერი მმართველი გუნდი.
- რუსთავის აზოტის ქარხანას აქვს შესანიშნავი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და პროდუქციის ექსპორტირების შესაძლებლობა. (რუსთავი-გარდაბანი-თბილისი-აზერბაიჯანი-სომხეთის რკინიგზა და შავი ზღვის, ბათუმისა და ფოთის პორტები).
- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სპეციალური საერთაშორისო საგადასახადო შეღავათები პროდუქციაზე.
- თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მიღწეული მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება.
- ინდივიდუალური მიდგომა თითოეული მომხმარებლის მოთხოვნებისა და შეხედულებებისადმი.
- „რუსთავის აზოტი“ მუშაობს საერთაშორისო რეგულაციების, ნორმების სრული დაცვით. კომპანიის მენეჯმენტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს, როგორც გარემოს, ასევე თანამშრომლების უსაფრთხოებას.
- კომპანიას გააჩნია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გარემოს დაცვის პროგრამა და წარმოების პირობები ყოველთვის შესაბამისობაშია დადგენილ ნორმებთან, კომპანია ცდილობს გააუმჯობესოს დადგენილი ნორმები.

3. საქმიანობის მიმოხილვა

საწარმოს სპეციალიზაცია არის მინერალური სასუქების, ასევე ამიაკის, ნატრიუმის ციანიდის, აზოტმჟავას, ამიაკის წყლის და სხვა პროდუქციის წარმოება.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 11,866 გამოშვებული აქციისგან რომელთაგან ყველა სრულად არის განაღდებული. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარია.

4. ხარისხის მართვა

კომპანიას გააჩნია ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის სერტიფიცირებაზე შემდეგ პროცესებზე:

- შესყიდული ნედლეულის ხარისხის მაჩვენებლებზე, რათა თავიდან აიცილოს გამოუსადეგარი ნედლეულის საწარმოო პროცესში გამოყენება;
- გამომუშავებული პროდუქციის პერიოდული შემოწმება ხარისხის დაცვის კუთხით;

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

“რუსთავის აზოტის“ შემოსავლის ძირითადი წყარო არის მინერალური სასუქების, ასევე ამიაკის, ნატრიუმის ციანიდის, აზოტმჟავას, ამიაკის წყლის და სხვა პროდუქციის წარმოება და გაყიდვა. შემოსავლების 99% არის ამონიუმის გვარჯილისა (76%) და ნატრიუმის ციანიდის (23%) გაყიდვიდან.

გაყიდული საქონლის თვითღირებულების ნაწილში ძირითადი დანახარჯების 73% წარმოადგენს ბუნებრივი აირისა (56%) და ელექტროენერგიის (17%) ხარჯს.

კომპანიის აქტივების 24%-ს შეადგენს მარაგები 2020 წლის ბოლოს მდგომარეობით.

6. არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საწარმოო სიმძლავრეები შემდეგია: ამიაკი (1 აგრეგატი AM-600) – 230,000 ტ/წ, აზოტმჟავა - 400,000 ტ/წ, ამონიუმის გვარჯილა - 500 000 ტ/წ, ამონიუმის სულფატი - 10 000 ტ/წ, ნატრიუმის ციანიდი - 13 700 ტ/წ..

7. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანიას აქვს ცალკე დეპარტამენტი „უსაფრთხოების ქვედანაყოფი“, რომელიც პასუხისმგებელია შიდა საწარმოო და გარე ადმინისტრაციული თაღლითობის, კორუფციის და სხვა მსგავს დანაშაულობებთან ბრძოლაში, შემდეგი კონტროლების საშუალებით:

- ვიდეო მეთვალყურეობა საწარმოს ტერიტორიაზე;
- ქარხნის ტერიტორიაზე შემავალი და გამომავალი მსუბუქი ავტომობილების, მძიმე ტექნიკის და ფიზიკური პირების საგულდაგულოდ შემოწმება, საშვის დაშვება, საშვის გაუქმება - რათა არ მოხდეს არა დაშვებული ნივთების შეტანა ან გამოტანა;
- ნედლეულის და სხვა ფასეულობების პერიოდული შემოწმება, ინვენტარიზაცია; მათ შორის ნედლეულის საცავებში სპეციალური მოწყობილობებით ჩასვლა და დონის განსაზღვრა;
- სხვა ღონისძიებები

8. სოციალური პასუხისმგებლობა

„რუსთავის აზოტის“ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით, საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად. საწარმოო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად დაცულია თანამშრომლების შრომის უსაფრთხოების სტანდარტები. აგრეთვე ტარდება საწარმოო ტრამპეზებისა და პროფესიული დაავადებების მუდმივი პროფილაქტიკა, ხორციელდება თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოების და დაცვის ნორმების სწავლება და შემდგომში შესაბამისი ცოდნის შემოწმება და კონტროლი. კომპანია, თავის თანამშრომლებს უზრუნველყოფს სოციალური პაკეტით, რაც გულისხმობს დამატებით საშვებულებო დღეებს, უფასო სანატორიულ დასვენებას, ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტს და სხვა პრივილეგიებს. თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, კომპანიის მენეჯმენტმა შეიმუშავა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა სადაზღვევო კომპანიასთან ერთად და დააზღვია ქარხნის ყველა თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები, რაც დაახლოებით 5 000 ადამიანს შეადგენს. ამ პროექტის ფარგლებში „რუსთავის აზოტის“ ტერიტორიაზე მოქმედებს სამედიცინო პუნქტები, სადაც ყველა თანამშრომელს საშუალება აქვს ისარგებლოს დაზღვევის პროგრამით და ტერიტორიიდან გაუსვლელად მიიღოს უმაღლესი ხარისხის და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება და კონსულტაცია.

9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“

სს „რუსთავის აზოტის“ მენეჯმენტის გადაწყვეტილებით დაფუძნდა საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“. ფონდის შექმნის ძირითადი მიზანი არის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემების მოგვარება. გარდა იმ თანხებისა, რასაც კომპანია სტაბილურად გასცემდა დახმარების სახით ქორწინების, ბავშვის დაბადების, ოჯახის შექმნის ან ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე იყო უამრავი განცხადება მატერიალურ დახმარებაზე. ძირითადად ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ შექმნილიყო საქველმოქმედო ფონდი, რომელიც „რუსთავის აზოტის“ თანამშრომლებს ამ პრობლემებს მეტნაკლებად მოუგვარებდა. დაარსებიდან რამდენიმე დღეში საწარმოს თანამშრომლები გაერთიანდნენ ფონდში და ამ სახით ნებაყოფლობით გამოხატეს საკითხისადმი თანადგომა. ფონდი მხოლოდ თანამშრომელთა შემოწირული თანხებით არ მუშაობს, იმ თანხას, რასაც ყოველთვიურად შემოწირულობის სახით, გაიღებენ საწარმოს თანამშრომლები, აორმაგებს კომპანია. ამ ერთიანი თანხით ხდება დახმარება და პრობლემების ნაწილობრივ, ან მთლიანად მოგვარება არა მხოლოდ თანამშრომლების, არამედ მათი ოჯახის წევრებისაც. ფონდის საქმიანობას მართავს სამკაცრიანი სამეთვალყურეო საბჭო და საწარმოებიდან არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც სვამენ წინადადებებს და აყენებენ მათ წინაშე მდგარ პრობლემებს. ფონდის საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენა ხდება ყოველთვიურად კომპანიის თანამშრომლებისთვის შიდა კომუნიკაციისა და ვებ-გვერდის საშუალებით.

10. გარემოსდაცვითი საკითხები

საწარმოს გააჩნია გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ნარჩენების მართვის გეგმა, რომელსაც პერიოდულობით ხვეწავს რათა თანხვედრაში იყოს უახლეს ნორმატივებთან და გარემოს ზემოქმედების კანონმდებლობასთან.

კომპანია პერიოდულობით მოწმდება გარემოზე ზემოქმედების კუთხით და მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს ყველა შენიშვნა თუ რეკომენდაცია.

კომპანია ასევე თანამშრომლობს სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან და ღებულობს სერტიფიცირებას ამონიუმის გვარჯილის უვნებლობაზე.

11. საკადრო პოლიტიკა

კომპანიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს მისი თანამშრომლები წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, „რუსთავის აზოტის“ პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანური რესურსების სწორად მართვა და საკადრო პოლიტიკის ეფექტურად დანერგვა საწარმოში. დღეს 2 ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული „რუსთავის აზოტში“. თანამშრომელთა მოტივაცია, მათი სწავლება-განვითარება, სათანადო პირობების შექმნა, დისციპლინისა და საქმისადმი თავდადების განვითარება წარმოადგენს განმსაზღვრელ და აუცილებელ ფაქტორს იმისათვის რომ საწარმომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

სამუშაო გარემო

კომპანიის მენეჯმენტი, ზრუნავს თანამშრომლებისთვის ოპტიმალური სამუშაო გარემოს შექმნასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდების და სტანდარტების შესაბამისად კომპანია საკადრო პოლიტიკას ახორციელებს შრომითი შინაგანაწესის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის რეგულირების, პერსონალის შერჩევის, თანამშრომელთა სწავლების, თანამშრომელთა განვითარების, შრომითი ანაზღაურების და წახალისების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების და სხვა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კარიერული განვითარება

ქარხანაში დანერგილია პერსონალის შერჩევის თანამედროვე პროცედურები რაც მოიცავს კანდიდატის ძებნას, შეფასებას, განსაზღვრასა და ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნას. კანდიდატის შერჩევისას განიხილება როგორც გარე ასევე შიდა კანდიდატურები. კანდიდატის საბოლოო შეფასება კი ხორციელდება ვაკანტური თანამდებობიდან გამომდინარე განათლებისადმი მოთხოვნის, სამუშაო გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის, საქმიანი თვისებები, ზოგადი უნარების, აგრეთვე ტექნიკური უნარების შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტი გამოცდილი პროფესიონალების დახმარებით ახორციელებს ახალგაზრდა კადრების მომზადებას და განვითარებას. „რუსთავის აზოტის“ საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდა თაობის ცოდნის გაღრმავება წარმოადგენს, რასაც ქარხანა საკუთარი, ქიმიაში გამოცდილი, მაღალკვალიფიციური კადრის ხელშეწყობით ახორციელებს.

სამსახურის მიღმა

სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და კორპორაციული კულტურის განვითარებისთვის კომპანია პერიოდულად მართავს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს და შეხვედრებს. ასეთი მიდგომით ჩვენ ვწერგავთ გუნდურ სულისკვეთებას და ვქმნით გარემოს, სადაც თანამშრომლები აძლიერებენ ერთმანეთს.

12. განვითარების გეგმები

მომავალში კომპანია გეგმავს სააბზორფციო გამაგრებლის დაყენებას რომელიც ასევე 9%-ით შეამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს. ჯერ-ჯერობით კომპანია ამ პროექტის ვალდებულებაში შესული არ არის. პროექტის მოკლე აღწერილობაა: ნატრიუმის ციანიდის მისაღებად საჭიროა ციან მჟავის გაგრილება, რაც დღეს დღეისობით მიიღწევა ამიაკის აორთქლებით, და მისი უკან გათხევადების გზით, რაშიც იხარჯება ელექტრო ენერგია. ამ პროექტის მიზანია ციან მჟავის გაგრილება ორთქლის გამოყენებით გარდამქმნელ სადგურში, რაც ელექტრო ენერგიის დანახარჯს ამ პროცესში დაიყვანს მინიმალურზე. პროექტის საშუალო ღირებულებაა USD 2.1 მლნ, მოსალოდნელი ელექტრო ენერგიის დანახარჯი კი 30,000,000 კვ-მდე. დამზადება მონტაჟის დრო დაახლოებით 1 წელიწადი.

13. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობას და სიზუსტეს. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 25 ოქტომბერს:

ლევან ბურდილაძე
დირექტორის, ეგრემ ურუმაშვილის მინდობილი პირი

13. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად კოვიდ-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. კომპანია აკონტროლებს კორონავირუსის (კოვიდ-19) გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობას და სიზუსტეს. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 25 ოქტომბერს:



ლევან ბურდულიძე
დირექტორის, ფინანსური მართვის მინდობილი პირი